"ინტელექტუალური ნაკრძალის" პრობლემები

ერის სულიერ განვითარებასა და დახვეწას მეცნიერება და ხელოვნება, ზოგადად კულტურა წარმართავს. ერის მთლიანობისა და მარადიული არსებობის ქვაკუთხედი სულიერება და ზნეობრიობაა. მეცნიერება და ხელოვნება ერის შემაერთებელი და შემადუღებელი ელემენტებია. მათი შემწეობით ეროვნული ენერგია უდიდეს კონცენტრაციას აღწევს იმიტომ, რომ ისინი აკავშირებენ არა მხოლოდ ცოცხალ თაობებს, არამედ ერთმანეთს უახლოვებენ წარსულს, აწმყოს, მომავალს. ერს, ქვეყანას თავისი დამოუკიდებლობა მანამ აქვს, ვიდრე იგი ავითარებს თავის ეროვნულ კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას. ერებს შორის ძირითადი განმასხვავებელი ფენომენი კულტურაა, ხელოვნებაა, ფსიქიკური წყობაა, რომელთაც სწავლობს და ავლენს მეცნიერება. შეგნებული ერი, არცერთ თავის სიმდიდრეს ისეთი სიფრთხილით არ ეპყრობა, როგორც მეცნიერებასა და ხელოვნებას, ვინაიდან ისინი ერის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ავლენენ, ხოლო ყოველი ერისათვის ინტელექტუალიზმია ხელშეუხებელი რეზერვი. ის, რაც ამა თუ იმ ერის ინტელექტუალურ საზოგადოებას შეუქმნია სულიერი კულტურის სფეროში, ხელუხლებელ საუნჯედ დარჩება კაცობრიობის გონებრივ სალაროში. სულიერი მემკვიდრეობის, სულიერი საგანძურის მეშვეობით ერის ორიგინალური სული სამუდამოდ რჩება, როგორც ერისა და ეროვნების მაცოცხლებელი და მოუკვდავებელი ფაქტორი.

მატერიალური კულტურა დროითა და სივრცითაა შემოფარგლული, სულიერი კულტურა დროსა და სივრცეში საზღვარდაუდებელია. კულტურულ კაცობრიობას უპირველესად სულიერი ურთიერთობა აკავშირებს, რომელიც სულ სხვა პრინციპებს ემყარება, ვიდრე მატერიალური ურთიერთობაა. სულიერი ურთიერთობა და სულიერი ინტერესები სივრცისა და დროის საზღვრებისაგან დამოუკიდებელ სულიერ ერთობას ქმნის. მის საპირისპიროდ, მატერიალური ინტერესები დროით შემოფარგლულ საზღვრებში აკავშირებს ერთმანეთს ერებსა და ქვეყნებს. კაცობრიობის განვითარება კი სულიერი, ინტელექტუალური ერთობის შეუნელებელი ზრდაა. ეროვნებები, ქვეყნები ქრებიან, რის არაერთი მაგალითი იცის კაცობრიობის ისტორიამ, და თან მიაქვთ მატერიალური ინტერესები. რჩება სულიერი საგანძური. რომელიც ერის ენერგიამ შექმნა, ვიდრე იგი დაიშრიტებოდა, ეროვნული ენერგია მაშინ იშრიტება, როდესაც საზოგადოება, ქვეყნის მმართველი ძალა ვერ შეძლებს თავისი ინტელექტუალური ნაკრძალის მოვლას, ერის სულიერი შესაძლებლობების პატრონობას, ასეთი ქვეყანა და ერი უთუოდ დაიღუპება - იგი ითქვიფება მსოფლიოს უძლიერესი თუ სუსტი ქვეყნების უსახურ მასაში.

ხელოვნება თავისი ფართო გაგებით არ შეიძლება იყოს მარადიული, თუ ის ეროვნული სულიდან არ შობილა და ერის ცხოვრებით არ არის ნასაზრდოები. ყოველი ნიმუში სულიერი კულტურისა ეროვნულ საფუძველზეა დაშენებული, ყოველი ერი, ყოველი ქვეყანა ზრუნავდა და ზრუნავს თავის სულიერ მემკვიდრეობაზე, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებაზე, ეროვნული ენერგიის მაჟისმალურად გამოვლენასა და გამოყენებაზე.

ქართველი ერი ენერგიულ ერებს განეკუთვნება. თუ არა ძლიერი ეროვნული ენერგია და ღრმა ეროვნული ცნობიერება, ვერ გაუძლებდა გარსმოჭარულ ფიზიკურ და სულიერ მტერს. ქართველი ერის სულიერი ენერგია გამოიხატა მის ისტორიულ ცხოვრებაში, მის მიერ გადატანილ ომებში, მის შრომაში, მის მიერ აგებულ ტაძრებსა და ციხე-კოშკებში, მის ენასა და ლიტერატურაში, მის ფსიქიკურ წყობასა და ინტელექტუალიზმში.

სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე "მამულიშვილების" ნაწილი საკუთარ ძალისხმევას მხოლოდ მატერიალურისაკენ მიმართავს, ცდილობს საქართველო "მსოფლიო სტანდარტების" დონეს გაუთანაბროს, ჩვენი ეროვნული ცნობიერება, კულტურული მეობა უდიდესი საფრთხის წინაშე დგას, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა კი გახდა, მაგრამ თავისუფლებამდე ჯერ კიდევ შორია, რადგან იძალა ურწმუნოებამ, გულგრილობამ, უზნეობამ, უსულგულობამ, მცონარობამ, სიძულვილმა, ნიჰილიზმმა: ერმა უნდა გაიცნობიეროს, რომ დამოუკიდებლობა და თავისუფლება ტოლფარდი ცნებები არ არის. თავისუფლება შინაგანი სულიერი სიძლიერით, რწმენით, ზნეობრიობით მოიპოვება, ჩვენში დამოუკიდებლობა ნომენკლატურულმა კაპიტალისტებმა საკუთარი კარგი ცხოვრების მოსაწყობად გამოიყენეს, თავისუფლება თავიშვებულობასთან გააიგივეს, რითაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ცნებებმა პირველადი ღირებულება დაკარგეს. შესუსტდა სულიერისადმი, მარადიული ღირებულებებისადმი ინტერესი, გაბატონდა ყოველად გაუმართლებელი, უმართებულო პრაგმატული დამოკიდებულება მეცნიერებისა და ხელოვნების მიმართ, ზოგადად კულტურის მიმართ, რასაც შესაძლოა, ერისათვის, ქვეყნისათვის საეალალო შედეგი სულ მოკლე ხანში მოჰყვეს. გულისტკივილსა და აღშფოთებას იწვევს იმის გააზრება, რომ "ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების მშენებელი, ახალი სახელმწიფოებრივი წყობის შემოქმედნი", როგორც თავიდან უწოდებენ საკუთარ თავს, მარად წარმავალი ხელისუფლების წარმომადგენელთა საკმაოდ დიდი კოპორტა, შემოქმედებითად გაბერწებულნი და უცხო ქვეყნების კანონმდებლობის საქართველოში გადმონერგვით გატაკეცებულნი, გამაოგნებელი ნიჰილიზმით, ცრუინტელექტუალობით ეპყრობიან მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას და უპერსპექტივოდ მიიჩნევენ.

მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების განვითარება შეუძლებელია სახელმწიფოებრივი აზროვნების გარეშე. სულიერებისა და ზნეობის სინაკლულიდან გამოსვლაში უმთავრესი როლი მეცნიერებაზე, მწერლობაზე, კულტურაზე მოდის, რომელთა განვითარებას აფერხებენ ხელისუფლების სათავეში მდგომი კოსმოპოლიტები, ნომენკლატურული კაპიტალიზმის წარმომადგენლები. მათ არ ესმით უმთავრესი: ქართულ კულტურას სხვა პატრონი არ ეყოლება, ხოლო სახელმწიფო, მთელი თავისი სტრუქტურით, კულტურის ნაწილია. აქედან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებაზე სხვა არავინ იზრუნებს, ისინი სრულიად საქართველოს საზრუნავია. დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერს, ქვეყანას, ყოველ მოქალაქეს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. ეს ეგოიზმია და მისი შეუგნებლობა მოქალაქის, ერის, ქვეყნის უუნარობისა და უმოქმედობის ნიშანია. საქართველოს სიკეთეს ვერ მოუტანს "ძველი პატრონის" ძაგება და "ახალი პატრონის" ძიება. დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ერთმანეთს დასცილდნენ ტექნიკური პროგრესი და სულიერ-ზნეობრიობა, ქართველი საზოგადოებრიობის, საქართველოს სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა ცივილიზაციურ გეოპოლიტიკაში საკუთარი ფუნქციის მოძებნა, საკუთარი მეობის დამკვიდრება, ისტორიისა და მომავლის მოთხოვნებზე ეგოიზმიტად ერის გადასარჩენი პასუხის გაცემა, რაც წარმოუდგენელია "პასუხისმგებლობის გრძნობისა და თვითდისციპლინის გარეშე. ჩვენში არ არის ცივილიზებული წესით შემუშავებული მიზანმიმართული პოლიტიკა მეცნიერების განვითარების, მისი პერსპექტივების შესახებ. ნომენკლატურული კაპიტალიზმის მესვეურთა, ცხადია, მეცნიერება და ხელოვნება ზედმეტ ტვირთად მიაჩნიათ და წარმატებით ახორციელებენ მეცნიერებისა და ხელოვნების დისკრედიტაციას და შევიწროებას, რაც საბოლოოდ მათი განადგურებისკენაა მიმართული. თავის მხრივ, ეროვნული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების შევიწროება მიმართულია ეროვნული ცნობიერების აღმოფხვრისაკენ თუ საზოგადოების განვითარების ყველა მიმართულება, ქვეყნის პოლიტიკა და იდეოლოგია, ეკონომიკა და კულტურა, ეროვნულ ცნობიერებას არ დაემყარება, სულიერებასა და ზნეობაზე არ იქნა ორიენტირებული, დაღუპვა გარდუვალია. ერი და ქვეყანა, რომელიც არ იზრუნებს მეცნიერებისა და ხელოვნების, ზოგადად კულტურის განვითარებაზე, ვერასოდეს გახდება თავისუფალი. ერმა თავის უფლებრივ ფუნქციას უნდა მიაგნოს, რაშიც უმთავრესი როლი სახელმწიფოებრივი მოწყობის კულტურას აკისრია, თავის მხრივ, სახელმწიფოებრივი მოწყობის კულტურის ფლობა მეცნიერების განუვითარებლად შეუძლებელია. ერი, რომელიც თავის კულტურაზე არ აიღებს ორიენტაციას, ცივილიზაციურ გეოპოლიტიკაში ფუნქციას დაკარგავს და კედლად იწყებს.

სწორედ ეროვნულ კულტურაზე, ეროვნულ იდეოლოგიასა და მეცნიერების განვითარებაზე, მარადიულ ღირებულებებზე, სულიერებასა და ზნეობაზე ორიენტირებული ერი შეძლებს მსოფლიო გლობალურ მოვლენებში გარკვევასა და ღირსეულ არსებობას.

ნესტან ხუციშვილი